საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლომხური

გაზეთი გამოდის 1908 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№29 (6575) 22 ივლისი 1993 წელი ხუთშაბათი

რაიონის საკრებულოში

## პედაგოგთა და სკოლების დასახმარებლად

**რაიონის საკრებულოს გამგეობამ განიხილა საკითხი პედაგოგიური კადრებით რაიონის უზრუნველყოფის, მათი კვალიფიკაციის ამაღლების, გამოყენების, შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.**

გამგეობის სხდომაზე აღინიშნა, რომ რაიონის განათლების განყოფილება, სკოლის დირექტორები გარკვეულ მუშაობას ეწევიან სასწავლო დაწესებულებების პედაგოგიური კადრებით დაკომპლექტების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათი სოციალური საკითხების გადაწყვეტისათვის.

განათლების განყოფილება პერიოდულად ადგენს პედაგოგთა კორპუსის შევსების გეგმას შესაბამის სამინისტროსთან შეთანხმებით, რის შესაბამისად ტარდება ღონისძიებები სასკოლო დაწესებულებების დაკომპლექტებისათვის. ამჟამად რაიონში 598 პედაგოგიდან უმაღლესი განათლებითაა 437, ხოლო დაუმთავრებელი უმაღლესი განათლებით—56, ამასთან პერიოდულად მიმდინარეობს ახალგაზრდა სპეციალისტებით სასკოლო დაწესებულებების შევსება, რის შედეგადაც კადრებით დაკომპლექტების საკითხი მეტ-ნაკლებად გადაწყვეტილია.

პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში გარკვეული როლი შეასრულა 1992 წელს ჩატარებულმა მასწავლებელთა და განათლების მუშაკთა ატესტაციამ, რის შედეგადაც უმაღლესი კატეგორია მიენიჭა 24 პედაგოგს, პირველი კატეგორია—153, მეორე კატეგორია—480 მუშაკს.

რაიონის განათლების განყოფილებამ გარკვეული მუშაობა გასწია პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ამ მიზნით ყოველწლიურად კვალიფიკაციას იმაღლებს 100-მდე პედაგოგი, მათი უმრავლესობა აქტიურადაა [illegible]ული სარაიონო და სასკოლათშორისო მეთოდურ გაერთიანებებში.

ყურადღება ეთმობა სფეროს მუშაკთა შრომის ანაზღაურების კანონიერების დაცვას, მასწავლებელთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას, მათთვის მატერიალური დახმარების გაწევის მდგომარეობას.

გამგეობის სხდომაზე ამასთან ერთად აღინიშნა, რომ რაიონში პედაგოგთა კადრების მომზადებას, მათთვის შრომისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას ახლავს სერიოზული ნაკლოვანებები, პედაგოგიური კადრების მომზადების საქმეში რესპუბლიკაში დამკვიდრებულმა არასწორმა პრაქტიკამ ერთგვარად განაპირობა რაიონში კვალიფიციური კადრების სიმცირე, რაიონის სკოლებში დაუმთავრებელი უმაღლესი განათლებითაა 56, საშუალო სპეციალური განათლებით—65, საშუალო განათლებით—30 პედაგოგი, ხოლო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მომუშავე 85 პედაგოგიდან უმაღლესი განათლებითაა 16, დაუსწრებელი უმაღლესი განათლებით—18, საშუალო სპეციალური განათლებით—43, საშუალო განათლებით კი—10 პედაგოგი.

რაიონის სასკოლო დაწესებულებებში გაუმართლებლად დიდია პენსიონერ მასწავლებელთა რიცხვი, რამაც ერთგვარად განაპირობა სკოლების არაკვალიფიციური, ხშირ შემთხვევაში შეუფერებელი კადრებით შევსება, უფრო მეტიც, ამ პირობებში სკოლები განიცდიან პედაგოგიური კადრების მწვავე ნაკლებობას ისეთ საგნებში, როგორიცაა მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, რუსული ენა და ლიტერატურა, შრომითი სწავლა, ხატვა და მუსიკა.

გასაუმჯობესებელია პედაგოგთა სტაჟირების, ხელმძღვანელ მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაწეული მუშაობა, მასწავლებელთა ატესტაციის სამუშაოთა წარმოებას ჯეროვანი პასუხისმგებლობით არ მოეკიდნენ ლაილაშის, ნასპერის, დეხვირის, თაბორის და სხვა სკოლების დირექტორები.

ნელა მიმდინარეობს მუშაობა მასწავლებელთა ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათვის, მათი კომუნალური მომსახურების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, არ ვრცელდება კანონით გათვალისწინებული პირობები და შეღავათები სოფლის მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების უზრუნველსაყოფად, გადახედვას მოითხოვს გათბობა-განათების, ბინის ქირის დღევანდელი ნორმებიც.

სასკოლო დაწესებულებათა პედაგოგიური კადრებით დაკმაყოფილების, მათი შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად არასაკმარის მუშაობას ეწევიან რაიონისა და სოფლის საკრებულოს გამგებლები.

რაიონის საკრებულოს გამგეობამ რაიონის სახალხო განათლების განყოფილებას, მეთოდურ კაბინეტს დაავალა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ და ზუსტად განსაზღვრონ პედაგოგიურ კადრებზე მოთხოვნილებანი და წარადგინონ განათლების სამინისტროში სათანადო განაცხადები.

ძირეულად გააუმჯობესონ არასპეციალისტებთან მუშაობის პრაქტიკა, იზრუნონ მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, ამ საქმეში ეფექტურად გამოიყენონ პედაგოგიურ გამოცდილებათა განზოგადოება.

## რაიონების (ქალაქების) გამგეობის თავმჯდომარეების (მერებისათვის) დროებითი საგანგებო უფლებამოსილებების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე სამხედრო-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის—შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ბრძანებების შესასრულებლად რაიონის (ქალაქების) გამგეობის თავმჯდომარეებს (მერებს) მიენიჭოთ დროებითი საგანგებო უფლებები:

1. განახორციელონ საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ყველა ღონისძიება საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფოს უშიშროებისა და სახალხო მეურნეობის სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად;

2. შემოიღონ უწყებების, საზოგადოებრივი და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის განსაკუთრებული რეჟიმი; სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების მიზნით კონტროლი დაუწესონ მათი რესურსების გამოყენებას, სამეურნეო საქმიანობას;

3. სამინისტროებთან შეთანხმებით დანიშნონ და გაათავისუფლონ თანამდებობიდან საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ასეთი საკითხები გადაწყვიტონ ოპერატიულად;

4. თავდაცვის მიზნებიდან გამომდინარე მოახდინონ მოქალაქეთა მობილიზაცია. ჩააბან შრომისუნარიანი მოქალაქენი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობაში;

მუშა-მოსამსახურენი დროებით გადაიყვანონ იმ სამუშაოზე, რომელიც არ არის გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულებით.

განახორციელონ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებანი.

ე. შევარდნაძე.

ზურგი—ფრონტს

## თავდაცვის ფონდი ივსება

დღეს ყველაზე მეტად იმას უჭირს, ვინც მამულის მთლიანობას იცავს, სიკვდილს ჩაჰყურებს თვალებში ზოგჯერ მშიერიც, მაგრამ მასში ყველაზე ძლიერია შეგნება იმისა, რომ დღეს საქართველოს ხსნა მხოლოდ და მხოლოდ ქართველთა მთლიანობას და თავდადებას შეუძლია. მადლობა ღმერთს, ჯერ კიდევ არ დამცხრალა ქართული სული, საკუთარ ლუკმას იკლებს ბევრი და აფხაზეთში მეომარ ბიჭებს უგზავნის, უგზავნის პროდუქტს, თანხას, ტყვიაწამალს, ტანსაცმელს, რაც ეშოვება, ოღონდაც ბიჭებმა იგრძნონ თანადგომა და იმედი.

რაიონულ საკრებულოში ყოველდღე მატულობს იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც არაფერი ეშურებათ ჩვენი მეომრებისათვის.

ჩვენი ქალაქის მკვიდრმა ლემინო ლიპარტელიანმა საკუთარი დანაზოგიდან 10.000 კუპონი ჩარიცხა ეროვნული თავდაცვის ფონდში, თავად სამი პატარას ორი ვაჟისა და ერთი გოგონას მამაა, რამდენი სჭირდება დღეს ოჯახს, მის გამოკვებას, მაგრამ მეომარი ბიჭებისათვის ყველაფერი მოიკლო.

შალვა ცვარიანი, დიდი სამამულო ომის მონაწილეა, თუ არა მან, ვინ იცის ომის მთელი საშინელება. 3000 მანეთი შემატა ომგადახდილმა პედაგოგმა თავდაცვის ფონდს.

მელსი ყურაშვილმა 500 მანეთი ჩარიცხა თავდაცვის ფონდის ანგარიშზე, მისმა ვაჟიშვილმა, თბილისისა სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტმა დათომაც გაიღო 500 მანეთი სტუდენტური ბიუჯეტიდან.

ბევრმა ორგანიზაციამ, მცირე საწარმომ თუ კოოპერატივმა გამოიჩინა თავი ამ კეთილშობილურ საქმეში. საგზაო სამმართველოს (უფროსი ო. გიორგობიანი) კოლექტივმა 50.000 მანეთი გადარიცხა თავდაცვის ფონდში, რაიკოოპერატივმა — 50.000 მანეთი, აბრეშუმის სათაო პარკსაშრომმა—10.000 მანეთი, კოოპერატივმა „ბარდნალამ“ (თავმჯდომარე ემზარ ლიპარტელიანი)—30 ათასი მანეთი, მცირე საწარმო „ნამკაშურმა“ (თავმჯდომარე სოზარ ლიპარტელიანი)—30.000 მანეთი, კოოპერატივმა „კრისტალმა“ თავმჯდომარე (გია სვანიძე)—20.000 მანეთი.

აი, ასეთი თანადგომა, ომის საშინელების მთელი სიგრძე-სიგანით გათავისება თუ გადაგვარჩენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სხვა გაზეთებიდან

„მადლი"

# ვინ არიან «იეღოვას მოწმეები»

წერილი II

რა ჰქვია ღმერთს?

„იეღოვას მოწმეები" აცხადებენ: „ეჭვგარეშეა, რომ ვისაც კი შენ იცნობ, ყველას სახელი აქვს. საკუთარი სახელი აქვს ასევე ღმერთსაც—მისი პიროვნების სხვებისაგან განსასხვავებლად" (წიგნიდან „შენ შეგიძლია იცხოვრო დედამიწაზე მარადიულ სამოთხეში", 989).

დიახ, ყველა ადამიანს აქვს საკუთარი სახელი, რათა ისინი ერთმანეთისაგან გავარჩიოთ, მაგრამ ბიბლიაში მოხსენებული ესა თუ ის სახელი ღმერთისა განა იმისათვისაა საჭირო, რომ ის სხვა ღმერთებისაგან გავარჩიოთ? ადამიანის სახელი შეიძლება კონკრეტულ აზრს გამოხატავდეს, მაგრამ ამ ადამიანის დახასიათებას არ გვაძლევდეს. მაგ. პეტრე ჰქვია მოციქულსაც და შეიძლება ერქვას ბოროტმოქმედსაც.

ღვთის სახელი არა მარტო კონკრეტულ აზრს გამოხატავს, არამედ მის თვისებებს, მის მოქმედებასაც გვამცნობს. კერძოდ, სახელი მამა აღნიშნავს, რომ ის არის მამა და შემოქმედი ყოვლისა და ამავე დროს მამა ძე ღმერთისა. საბაოთი მებრძოლს აღნიშნავს.

როგორც ცნობილია, ბიბლია (ძველი აღთქმა) ებრაულ ენაზე დაიწერა. ებრაელები ერთადერთი ხალხი იყო, რომელსაც ერთი ღმერთი სწამდა. ებრაული დამწერლობა არ ითვალისწინებდა ხმოვნების წერას, იწერებოდა მხოლოდ თანხმოვნები. მაგ. როცა სურდათ დაეწერათ სიტყვა ღმერთი—ელოჰიმ, ებრაელები დაწერდნენ ასე: ღმერთელჰმ, ხოლო მკითხველი მასში ხმოვნებს ზეპირად ჩასვამდა, რადგან სმენით იცოდა, თუ ეს სიტყვა როგორ გამოითქმოდა.

ღმერთის ერთ-ერთი სახელი, რომელიც „იეღოვას მოწმეების" თანახმად წარმოითქმის როგორც „იეღოვა", ებრაულ ბიბლიაში ასე იწერება **ილვლ** ებრაელებს მიაჩნდათ და ახლაც მიაჩნიათ, რომ ამ სახელის წარმოთქმა არ შეიძლება. ვიდრე არსებობდა იერუსალიმის ტაძარი, ებრაელთა მღვდელმთავარი ამ სახელს წელიწადში ერთხელ წარმოთქვამდა, როცა ის ტაძრის „წმიდათა წმიდაში" შედიოდა. პირველ საუკუნეში ქრისტეს შობიდან, რომის იმპერიის წინააღმდეგ აჯანყებული ებრაელების დასასჯელად რომაელებმა ტაძარი დაანგრიეს და მის ადგილას საკერპე ააშენეს, ასე, რომ ეს სახელი უკვე წელიწადში ერთხელაც აღარ წარმოითქმებოდა.

ქრისტეს შობიდან IX—X საუკუნეებში ებრაულ ბიბლიაში ხმოვნების ჩაწერა დაიწყეს, ე. ი. დამწერლობამ ის სახე მიიღო, როგორიც დღეს აქვს. მაგრამ უკვე გვიან იყო, როგორ გაეხმოვანებინათ **ილვლ** არავინ იცოდა, რადგან აღარც იერუსალიმის ტაძარი არსებობდა და აღარც ებრაელთა მღვდელმთავრები, რომლებიც წელიწადში თუნდაც ერთხელ მაინც წარმოთქვამდნენ ამ სახელს.

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ტეტრაგრამა **ილვლ** წარმოდგება სიტყვისაგან გავა ან გაია—ყოფნა (არსი); და უპირობო თვითმყოფადობას, მარადიულ ყოფიერებას, ყოველმხრივ სრულყოფილებას აღნიშნავს. (ეფრონისა და ბროკგაუზის ენციკლოპედია ტ. 13. სანკტ-პეტერბურგი. 1894 წ. გვ. 621).

„იეღოვას მოწმეები" თავადვე აღიარებენ: „დღეს პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ზუსტად ვიცოდეთ, თუ რომელ ხმოვნებს იყენებდნენ ებრაელები ილვლსთან ერთად". (წიგნიდან „შენ შეგიძლია..." 1889).

ჟურნალ „საგუშაგო კოშკი" ასევე მიუთითებს, რომ ეს სახელი ან იეღოვად ან რაღაც ამის მაგვარად გამოითქმებოდა (საგუშაგო კოშკი 15. II. 92წ).

ქრისტეს შობამდე III საუკუნეში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გაფანტულმა ებრაელებმა თავიანთი მშობლიური ენა თანდათან დაივიწყეს და მაშინდელ საერთაშორისო ენაზე, ბერძნულზე დაიწყეს ლაპარაკი. ამიტომ ეგვიპტის ქ. ალექსანდრიაში 70—მა მთარგმნელმა ბიბლია (ძველი აღთქმა) ებრაული ხელნაწერიდან ბერძნულად თარგმნა. თარგმანს სეპტუაგინტა ეწოდება.

ვნახოთ როგორ ითარგმნება **ილვლ** ებრაულიდან ბერძნულად სეპტუაგინტაში: თითქმის ყველგან გარდა რამდენიმე მუხლისა წერია „უფალი ღმერთი".

სწორია თუ არა ეს? დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად ახალი აღთქმა გადავშალოთ. როცა უფალი იესო ქრისტეს ხალხთან საუბრისას მოჰყავს ციტატები ძველი აღთქმიდან, ყოველთვის ამბობს „უფალი ღმერთი" და არსად, არასოდეს უთქვამს „იეღოვა" ან სხვა რამე, (მაგ: მარკოზის სახარების 12, 29—30). „იესომ უპასუხა მას: პირველი არის: ისმინე ისრაელ: უფალი ღმერთი ჩუენი, უფალი ერთ არს; და შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა..." ძველ აღთქმაში ამ ადგილის პარალელურია 2 შჯ. 6.4.5, ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. უსაფუძვლოა იმის მტკიცება, რომ სახელი „იეღოვა" თითქოს ვინმეს ახალი აღთქმიდან ამოეღოს და მის მაგიერ „უფალი ღმერთი" ჩაეწეროს. არ არსებობს ახალი აღთქმის არცერთი ხელნაწერი, რომელშიც ნაცვლად „უფალი ღმერთისა" „იეღოვა" ეწეროს.

დასკვნა ერთადერთია. 70 მთარგმნელის მიერ გამოყენებული „უფალი ღმერთი" იესო ქრისტემ აკურთხა. ეს თარგმანი სწორი რომ არ იყოს, იესო ხალხთან საუბრისას სიტყვებს „უფალი ღმერთი" არ გამოიყენებდა.

ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანში იმ ადგილას, სადაც მოსეს სინას მთაზე ღმერთი ეცხადება, წინასწარმეტყველის კითხვაზე, თუ რა არის მისი სახელი, ღმერთი პასუხობს: **„მე ვარ, რომელი ვარ"** (გამოსვ. 3,14). ეს ზუსტი თარგმანია იმ სიტყვისა, რომელიც იწერებოდა ებრაული ტეტრაგრამით. რუსულ თარგმანში აქ არის სიტყვა **„სუშჩი"**, რაც ქართულის შესატყვისია.

მკითხველი დაგვეთანხმება, თუ კი ამა თუ იმ ებრაული სიტყვის თარგმანი ვიცით, მაშინ რაღა საჭიროა ამ სიტყვის ებრაულ ენაზე, თანაც დამახინჯებულად წარმოთქმა? უმჯობესია მისი სწორი თარგმანით ვისარგებლოთ. ამ შემთხვევაში ყველა პრობლემა მოხსნილი იქნება და ის მხოლოდ იმათთვის დარჩება, ვისაც არ სურს სიმართლის გაგება და ჯიუტად აკერპებს ოთხი თანხმოვანისაგან შემდგარ სიტყვას, რომელიც არც იცის როგორ წარმოითქმოდა.

არავინ უარყოფს, რომ **ილვლ** შეიძლება პირობითად, ხაზს ვუსვამთ, მხოლოდ და მხოლოდ პირობითად ან იეღოვად ან იახვედ წავიკითხოთ. და მაინც, რა სახელი შეიძლება ვუწოდოთ ღმერთს, რომელიც მის უფრო ნათლად შეცნობაში დაგვეხმარებოდა? უფალმა იესო ქრისტემ თქვა: **„შენი სახელი ვაცნობე ადამიანებს" (იოანე 17,16)** და **„მე ვამცნე მათ შენი სახელი" (იოანე 17,26).**

დაგვებადება კითხვა რა სახელი აცნობა იესო ქრისტემ ადამიანებს 2000 წლის წინ.

გადავიკითხოთ ახალი აღთქმა. არსად არც იესო ქრისტე, არც მოციქულები ერთხელაც კი არ ახსენებენ სექტანტებში ასე მიღებულ „იეღოვას". ისინი იყენებენ სიტყვებს „უფალი ღმერთი", მხოლოდ ორჯერ გვხვდება ეპისტოლეებში „საბაოთი" (რომაელთა მიმართ IX,29 და იაკობის ეპისტოლე V,4). „იეღოვას მოწმეები ამტკიცებენ, რომ თითქოს „ალილუია" ნიშნავს „აქეთ და ადიდეთ იეღოვა". სინამდვილეში „ალილუია" (გამოცხ. XIX,1). წარმოდგება ებრაული სიტყვისაგან „ჰილლელ"—„აქეთ ღმერთი".

მათეს სახარების 28—ე თავის ბოლო მუხლებში გაცხადებულია ღვთის სახელი:

„და მიუახლოვდა იესო, ელაპარაკა მათ და უთხრა: მოცემული მაქვს მე მთელი ძალაუფლება ზეცაში და დედამიწაზე.

ამიტომ წადით და გახადეთ მოწაფეებად ყველა ხალხი, მონათლეთ ისინი სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა" (მათე 28, 18—19).

[illegible]ბის დედანს, ბერძნულ ტექსტს, ვნახავთ, რომ სიტყვა „სახელითა" მხოლობით რიცხვშია, ბერძ. „ეის ტო ონომა" რაც უცილობლად აღნიშნავს მამის, ძის და სული წმინდის ერთიანობას. წინააღმდეგ შემთხვევაში იქნებოდა მრავლობით რიცხვში — „ეის ონომატა".

მწვალებლები მართლმადიდებელ ქრისტიანებს საყვედურობენ, რომ თითქოს ჩვენ ღვთის სახელი დავივიწყეთ, სინამდვილეში კი პირიქითაა, ჩვენ ყოველ დღე, ლოცვის დროს ვახსენებთ ღვთის სახელს, კერძოდ, იმ სახელს, რომელიც ადამიანებს იესო ქრისტემ ამცნო და ამიტომაც ის ყველაზე მნიშვნელოვანია.

უბრალო მაგალითი ავიღოთ, როცა ძილისაგან ვდგებით, დილის ლოცვებს ღვთის სახელის ხსენებით ვიწყებთ, ვაქებთ და ვადიდებთ მას და ვამბობთ: „დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ".

ათეიზმის ბატონობის ხანაში ეკლესიამ მრავალ განსაცდელსა და დევნას გაუძლო. მისი მქადაგებლები ცდილობდნენ ადამიანებისათვის შთაეგონებინათ, რომ იესო ქრისტე არა თუ ღმერთი არაა, არამედ ისტორიულადაც კი არ არსებობდა და რომ ახალი აღთქმის წიგნები გამოგონილ პიროვნებაზე შექმნილ მითსა და ლეგენდას წარმოადგენს.

საბედნიეროდ ამ პერიოდმა განვლო, მაგრამ ღვთისა და ეკლესიის მტერს ფარხმალი არ დაუყრია. ქრისტეს სახელს ამოფარებული სხვადასხვა სექტები, სინამდვილეში მის წინააღმდეგ იბრძვიან. როცა მის ღვთაებრიობას უარყოფენ და ანგელოზის საფეხურამდე ამცირებენ.

მხოლოდ ქრისტეს მიერ შექმნილი „ღმერთის სახლი, რომელიც არის ცოცხალი ღმერთის ეკლესია, ჭეშმარიტების სვეტი და საფუძველი" (1ტ.3,15), ასწავლის სწორად სახარებისეულ რწმენას იესო ქრისტეს ღმერთობის შესახებ.

**რ. ჯიბუტი.**

# გამოცდების ციებ-ცხელებამ ჩაიარა

ცაგერის №91 პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებელში საკვალიფიკაციო გამოსაშვები გამოცდები ჩატარდა. წელს გამოსაშვები გამოცდის წინაშე 80 კურსდამთავრებული წარსდგა—აქედან ფართო პროფილის ტრაქტორისტ—მემანქანეების სამი ჯგუფი და საბუღალტრო აღრიცხვის ორივე ჯგუფი.

გამოცდების მომზადებულად და ორგანიზებულად წარმართვისათვის ბევრი რამ გააკეთა სასწავლებლის დირექციამ და პედაგოგიურმა კოლექტივმა, მაგრამ მიუხედავად ამისა, სხვადასხვა მიზეზთა გამო 6 კურსდამთავრებული გამოცდაზე არ გამოცხადდა.

ტრაქტორისტ—მემანქანეების ჯგუფიდან საკვალიფიკაციო გამოცდაზე კომისიის წევრებმა მაღალი შეფასება მისცეს ზვიად ჩიქოვანის პასუხს, რომელმაც ავტომობილის აგებულების გამოცდაში ფრიადი დაიმსახურა, გამოცდაზე კარგად მომზადებული გამოცხადდნენ საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობის კურსდამთავრებულები—ნინო ნემსწვერიძე, ინგა ბურჯალიანი, მადონა ბერიძე, ინგა კუხიანიძე, ნანი მუშკუდიანი, დალი უგრეხელიძე, რომლებმაც საკვალიფიკაციო გამოცდაზე საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობაში ფრიადი შეფასება დაიმსახურეს.

ცოტაც და ახალგაზრდები დიპლომებით ხელში გამოიხურავენ სასწავლებლის კარებს და მიუხედავად ძნელბედობისა, ქვეყანაში შექმნილი მძიმე პირობებისა, ზოგი სპეციალობის მიხედვით იმუშავებს სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებაში, ბევრ მათგანს სურვილი აქვს მაღალკვალიფიციური სპეციალისტი გახდეს და უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად ემზადება.

ღმერთო, ხელი მოუმართე ცხოვრების გზასაყარზე მდგარ ამ ახალგაზრდებს.

## მილოცავთ

თამრიკო ახვლედიანს, ალუდა დავითულიანს
გილოცავთ ბედნიერებას. გფარავდეთ ღმერთი.
მაკა, ზაზა, გოჩა ახვლედიანები.

---

თამრიკო ახვლედიანს, ალუდა დავითულიანს
გილოცავთ ბედნიერებას. სიყვარული ნუ მოაკლდებოდეს თქვენს ახლადშექმნილ ოჯახს
ნათია, ლაშა, სოსო ჯიაძეები.

---

თამრიკო ჭაბუკიანს, რამაზ სილაგაძეს
გილოცავთ ბედნიერებას. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.
აქვსენტი სილაგაძე ოჯახით.

---

თამრიკო ჭაბუკიანს, რამაზ სილაგაძეს
გილოცავთ ბედნიერებას, იმრავლეთ, იბედნიერეთ.
მზია, მურთაზ, ბახვა, კახა, გაგა სილაგაძეები.

---

ლალი მურცხვალაძეს, გურამ ლიპარტელიანს
ნონა ლობჟანიძეს, მამუკა მურცხვალაძეს
გილოცავთ ბედნიერებას. შექმენით ფუძძლიერი ოჯახები.
რეზო ლიპარტელიანი, იური ჩხეტიანი, შოთა ნემსწვერიძე ოჯახებით.

---

ნინო კოპალიანს, ამირან კვირკაშვილს
გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ, იმრავლეთ.
თამაზ ტვილდიანი ოჯახით.

---

ნინო კოპალიანს, ამირან კვირკაშვილს
გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ შვილთა სიმრავლეს.
ბუჭუ ბენდელიანი, ანზორ, თემურ ბენიძეები ოჯახებით.

---

ირინე ჩარხიანს, გურამ ციხილაძეს
ნატო კვენეტაძეს, გონდო განძელაძეს
გილოცავთ ბედნიერებას. გფარავდეთ ღმერთი.
რეზო ლიპარტელიანი, იური ჩხეტიანი, შოთა ნემსწვერიძე ოჯახებით.

---

ლეილა, ჯანიკო ახვლედიანებს
ციცო, შალიმან დავითულიანებს
გილოცავთ შვილების ბედნიერებას.
შურმან ჯიაძე ოჯახით.

---

ვაჟა კვენეტაძის ოჯახს
გილოცავთ პატარა ვაჟას დაბადებას.
იზა, გია გურჯალიანები, ზაირა ჭილვარია.

---

იზო კოპალიანს
გილოცავთ ნინოს ბედნიერებას.
ტუკა ჩხეტიანი ოჯახით.

---

ნინო ოთარის ასულ ლაკვეხელიანს
ზურა გივის ძე ჭიაბერაშვილს
გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის და ოჯახის სასახელო ვაჟკაცი.
ეთერ, გივი სადილიანები.

---

ნინიჩკა, ეთერ ტაცოლი ახვლედიანებს
გილოცავთ უდიდეს სიხარულს—დათოს უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას. ვუსურვებთ წარმატებებს. ვუერთდებით თქვენს სიხარულს
გიორგი, ნუნუ, გოგი ახვლედიანები.

## ხსოვნა

### ზვიად გიორგის ძე გუგავა

ჩვენო სათაყვანებელო, ერთადერთო, ობლად გაზრდილო ძმისშვილო, ზვიად! არც სიტყვა, არც ძალა არ გვყოფნის გამოვხატოთ ის ტანჯვა, რაც შენი სიკვდილით თავს დაგვატყდა. როგორი მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო იგი არა მარტო ჩვენთვის, არამედ ყველასათვის, ვინც შენ გიცნობდა.

ულმობელია და დაუნდობელი წუთისოფელი, სიკვდილი შენებრ ყველას მოსიყვარულე, ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებულ ჭაბუკებზე ნადირობს. მათ შორის შენც მოხვდი, ჩვენო თვალის სინათლე, საფიცარო, ტკბილო, საამაყო, ყველგან სიკეთის მთესველო, შვილივით საყვარელო ზვიად. როგორ შევეგუოთ შენს სიკვდილს, ჩვენო ვაჟკაცო, გულთბილო ბიჭო. ვაი, რა ნაადრევად შეწყდა შენი ლამაზი სიცოცხლე. ამას ვერასოდეს შევეგუებით. შენზე დარდი ჩაუქრობელ ლამპრად იგიზგიზებს ჩვენს გულში. იმ ტრაგიკულ დღის საშინელი სურათი და გახსენების წარილი გულის ჯიბეში აღმოჩნდა. ეტყობა გსურდა გაზეთში გამოქვეყნება, მაგრამ ვერ მოასწარ. შენი აუსრულებელი სურვილის შესრულება გვსურს, ზვიად და შენს დაწერილ ტექსტს უცვლელად ვაქვეყნებთ.

მამიდები ლოლა და გოგუცა გუგავები.

---

### გიორგი მელიტონის ძე გუგავა



„დაე, თუნდ მოვკვდე არ მეშინიან,
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი,
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან
თქვან, აღასრულა მან თვისი ვალი".

დიდი ილიას ამ სიტყვებს გულის ჯიბით დაატარებდი, ალბათ იცოდი, რომ სიკვდილი ვაჟკაცებს ირჩევს, და სამუდამოდ გულში ჩაიკრავს. ბრმა, ტრაგიკულმა შემთხვევამ შეიწირა შენი სიხარულით და სიყვარულით სავსე სიცოცხლე, ოცდამეოთხე გაზაფხულია, არ გვიხილავს შენი ალერსიანი, თბილი, ყველასადმი სიყვარულით აღსავსე თვალები. საოცარი ბუნების კაცი იყავ, მამა, შეხაროდი ჩემს გაზრდას, დავაჟკაცებას, მამის დაძახებას ვერ მოესწარ, 6 თვის დამტოვე ერთადერთი ძე ზვიადი. გავიზარდე, უკვე 22-ე წელიწადში ვარ, გამოვდივარ ცხოვრების ასპარეზზე, სწორედ ახლა მჭირდები, ჩემო ვაჟკაცო მამა, ანი იმედი მინდა, შენი დარიგება მინდა, შენი მოფერებაც მინდა, შენს ნატვრაში მიდის უსიხარულოდ საათები, დღეები, თვეები, წლები.

არ მიყვარს, ან რა საყვარელია ჩემთვის მარტის თვე, სწორედ ავადმოსაგონარ 1969 წლის 7 მარტს შეწყდა შენი მაჯისცემა 39 წლის ასაკში. ამ დღეს უფრო მწარედ ვგრძნობ უშენობას, მამა, ეს დღე არის განსაკუთრებულად შენი მოსაგონარი დღე, გაშლილი სუფრას და ვნატრობ შენი ომახიანი ხმით წამოწყებულ ძველებურ სიმღერას „ასული წამოიყვანეს"..

ქართველი ხალხი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იბრძვის, ვდარდობ, მამა, რომ ამ დიდი საქმისათვის ბრძოლაში არ ისმის შენი გამბედავი, ვაჟკაცური ხმა, მაგრამ გწამდეს ჩემი, რომ ამ დიდი საქმისათვის უკანდაუხევლად ვიბრძვი და კვლავაც ვიბრძოლებ.

შენი ნათელი სახელის ხსოვნა სამუდამოდ იქნება ჩემს გულში ჩაბეჭდილი, ჩემო მამიკო!

ზვიად გუგავა.

---

ალიოშა, ზაურ ჩაფრავები, რეზო სივსივა, ჯუჯული გურგუჩიანი, ბიკენტი მურცხვალაძე თანაუგრძნობენ ჟუჟუნა, გივი ჩაფრავებს დისა და ცოლისდის
დოდო ლიპარტელიანის
გარდაცვალების გამო.

---

ზაურ კვირკაშვილი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს
ზურაბ დანელიას
გარდაცვალების გამო.

---

[illegible]ომრეწველბანკის ცაგერის განყოფილების მუშაკები თანაუგრძნობენ მარინე ლიპარტელიანს დეიდის
დოდოს
გარდაცვალების გამო.

---

მეზობლები გოგი ნემსწვერიძე, გივი, გურამ, სამსონ, კობა, ანზორ მდივნები, ნუგზარ ლეთოდიანი, გრიშა ონიანი, თენგიზ ხვადაგიანი, თამაზ, პოლიშკა თაგვაძეები თანაუგრძნობენ ოჯახს
დოდო ლიპარტელიანის
გარდაცვალების გამო.

---

საფინანსო განყოფილების და საგადასახადო ინსპექციის მუშაკები თანაუგრძნობენ ნანული დავითულიანს და გულო ახვლედიანს მულის
დოდო სალინაძის
[illegible]ცვალების გამო.

---

გრიგოლ ანზორ სილაგაძეები, გურგენ დავითულიანი, კარლო ჩაკვეტაძე, დათო სალინაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
დოდო ლიპარტელიანის
გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე თამარი, შვილები გელა, ნათელა მაგული, დარეჯანი, რძლები ნაილი, ნატო, ბაბუცა, სიძე ჯეირანი, ძმა ოთარი, შვილიშვილები ჯიბული, თამუნა, თეა, გრიგოლი, ნატო, მაია, ეკა, ოთარი, მალვინა, ძმისშვილები თინა, გოგი, შვილთაშვილები ოჯახებით იუწყებიან
გრიშა სერგოს ძე
ლეთოდიანის
გარდაცვალებას.

---

უახლოესი ნათესავები თამაზ, მევლუდ, ჟორა სილაგაძეები, ნუგზარ სალინაძე, გოდერძი გოლეთიანი, გოგი ბენიძე, რუბენ ელიავა ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
ალექსანდრე ნემსწვერიძის
გარდაცვალების გამო.

---

გივი, რეზო ბენდელიანები, თამაზ სალინაძე, გრიშა შკუბულიანი, ლუდვიკ ხეცურიანი, ჟორა სილაგაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ნოდარ, გელა სალინაძეებს დის, ოთარ ლიპარტელიანს მეუღლის
დოდოს
გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ნინო ჩაკვეტაძე, შვილი ვანიკო, სიდედრი ნათელა, ბებია გალინე, ცოლისდა ნონა, ქვისლი სპარტაკ გვასალია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ზურიკო დანელია.

---

დავით, ბუჭუ ზურაბიანები, ვაჟა მიქაძე, ჟორა სალინაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
ვერა ხეცურიანის
გარდაცვალების გამო.

---

ისმა ისიდორის ძე ხაჭულიანი ოჯახით თანაუგრძნობს ნანა, მიტუშა ლეთოდიანებს დედის
ანას
გარდაცვალების გამო.

---

ჯემალ ლეთოდიანი, გოგი მუშკუდიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ნელი, მიტუშა ლეთოდიანებს დედის
ანა ლეთოდიანის
გარდაცვალების გამო.

---

ცუცა, თამარ, კოლია, რუბენ, თენგიზ ხვადაგიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
ალექსანდრე ვასილის ძე
ნემსწვერიძის
გარდაცვალების გამო.

---

არჩილ ახვლედიანი, ჯუმბერ კოპალიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
დოდო
სალინაძე—ლიპარტელიანის
გარდაცვალების გამო.

---

შარდენ კოპალიანი, გიზო სალინაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
გრიშა სერგოს ძე
ლეთოდიანი.

---

ორმოცბინიანი სახლის მცხოვრებლები თანაუგრძნობენ ბელა, სოსო გასვიანებს ბიძის
ვალოდია გასვიანის
გარდაცვალების გამო.

---

ვენედი ცხვედიანი, ქიშვარდ ყურაშვილი, ნანი ხაბულიანი, ნუგზარ ჭაბუკიანი, გოგი მუშკუდიანი, ოლეგ გიორგობიანი, ამირან ახვლედიანი, ანდრო გურჯალიანი, საშა ბერიძე, მერაბ ჭილვარია თანაუგრძნობენ მზია, მევლუდ სილაგაძეებს ბიძის
ალექსანდრეს
გარდაცვალების გამო.

---

მაყვალა, მამია დაუშვიანები, ანიჩკა, ვალოდია თოდიძეები თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
ალექსანდრე ნემსწვერიძის
გარდაცვალების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეუღლე ლენა, შვილები გია, მზია, ძმისშვილები რომანი, სოსო, ზაზა, ჟურა იუწყებიან

**ვალოდია ნიკოლოზის ძე გასვიანის**

გარდაცვალებას.
დაკრძალვა 22 ივლისს, ხუთშაბათს, სოფ. მახაშში.

---

უახლოესი მეზობლები ავთანდილ, თამაზ, ნიკა კოპალიანები, მურმან ხეცურიანი, რუბენ გოგიძე, მიშა ნემსწვერიძე, ომარ ბურჯალიანი, დადაში ბენიძე, ჟორა გესხელიანი, მარგველიტა მუშკუდიანი, ოთარ გაგისონია, ბუხუტი მეშველიანი, ვაჟა სალინაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ პირისუფალს

**ალექსანდრე ნემსწვერიძის**

გარდაცვალების გამო.

---

მეზობლები დემურ, ჯუმბერ გოგიძეები, გივი, იმედა მუშკუდიანები, გიზო მდივანი, ოთარ ყურაშვილი, აკესალომ ლიპარტელიანი, სკანდერ ონიანი, რომან ბაქრაძე, ჟორა შკუბულიანი, ბორის ბერიძე, ოთარ თუთისანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ოთარ ლიპარტელიანის ოჯახს

**დოდოს**

გარდაცვალების გამო.

---

გიორგი ახვლედიანი თანაუგრძნობს პედაგოგ მაია ფოჩხიძეს ბებიის

**ნინას**

გარდაცვალების გამო.

---

მარიკა მეშველიანი, ქეთევან გუგავა, ნაწელა კვირკაშვილი თანაუგრძნობენ ირმა ფოჩხიძეს ბებიის

**ნინა ხაბულიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ზურაბ ჩიქოვანი, ბელა შკუბულიანი, იური ბენდელიანი, ზურაბ, აკაკი სალინაძეები, ბორის გოლეთიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ვიოლეტა, თემურ ჩორგოლიანებს ძმისა და ცოლისძმის

**ვალტერ მურცხვალაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ჟორა ხეცურიანი ოჯახით თანაუგრძნობს ვიოლეტა, თემურ ჩორგოლიანებს

**ვალტერის**

გარდაცვალების გამო.

---

პროფდეზგანყოფილების მუშაკები თანაუგრძნობენ როზეტა, ლერი ჩხეტიანებს ბაბუის

**ალექსანდრე ბერიძის**

გარდაცვალების გამო.

---

დავით კოპალიანი ოჯახით თანაუგრძნობს ნინა, ჯოკია შკუბულიანებს დედისა და სიდედრის

**ნატას**

გარდაცვალების გამო.

---

სერგო გასვიანი ოჯახით თანაუგრძნობს სოსო, ზაზა გასვიანების ოჯახებს ბიძის

**ვალოდია გასვიანის**

გარდაცვალების გამო.

---

პროფდეზგანყოფილების მუშაკები თანაუგრძნობენ რუსიკო, იური სალინაძეებს ბიძის

**ალექსანდრე ნემსწვერიძის**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე თამარი, შვილები მარინე, ირინე, დები ვიოლეტა, ციცო, სიძეები თემურ ჩორგოლიანი, კოტე გოგოხიძე იუწყებიან

**ვალტერ აკაკის ძე მურცხვალაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 24 ივლისს, შაბათს, ქ. თბილისში, გამოსვენება ელიავას ქუჩის №38-დან (III სადარბაზო, მე-2 სართული, ბინა 51).

---

კომუნალური მეურნეობის, ტექბიუროს, სახლმმართველობის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მარინე ჩაკვეტაძეს მეუღლის

**ზურაბ დანელიას**

გარდაცვალების გამო.

---

ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს ნუნუ კოპალიანს ბიძაშვილის

**ავთოს**

გარდაცვალების გამო.

---

რაიკოოპერატივის მუშაკები თანაუგრძნობენ ნინო ცხვედიანს და რობერტ კოპალიანს ბიძაშვილის და დეიდაშვილის

**ავთო კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

გაკო შკუბულიანი, ანზორ კვირკაშვილი ოჯახებით იუწყებიან

**ზურიკო ვანოს ძე დანელიას**

გარდაცვალებას.

---

ვალერი ჯიაძე, ენგელი ქურასპედიანი, მურთაზ ლეთოდიანი ოჯახებით იუწყებიან

**ზურაბ დანელიას**

გარდაცვალებას.

---

ეთერ, ზურაბ სვანიძეები, ლამარა, იოსებ ჩარკვიანები, გულიკო, ზურაბ ხაბულიანები ოჯახებით იუწყებიან

**ალექსანდრე ბერიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს.

---

ვალიკო, ლენა, ცაცა მურცხვალაძეები, რუბენ კვირკაშვილი, გოგი მუშკუდიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვალტერ აკაკის ძე მურცხვალაძე.**

---

გრიგოლ დომენტის ძე ახვლედიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ვერა ივანეს ასული ხეცურიანი.**

---

არდევან, გია კოპალიანები, გელა ასანიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ავთო დავითის ძე კოპალიანი.**

---

გაზეთ „ლეჩხუმის" რედაქციისა და რაიონული სტამბის მუშაკები იუწყებიან რედაქციის განყოფილების ყოფილი გამგის

**ვალტერ აკაკის ძე მურცხვალაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე ნინა, შვილები ზურაბი, ჰოვარდი, გუგული, ნათელა, რძლები ინგა, ჟუჟუნა, გულო, შვილიშვილები ნინო, ალექსანდრე, ძმა რაფიელი, დები საშა, ნინა, სიძე რუბენ ელიავა, დისშვილები, ძმისშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ალექსანდრე ვასილის ძე ნემსწვერიძე.**

---

ელგუჯა, თემურ ფალავანდიშვილები, გიური, გრიგოლ ბერუჩაშვილები, დანიელ, სულიკო ყურაშვილები, ონისე, ამირან, დათო ხეცურიანები, ტრისტან სილაგაძე, გოგი ასათიანი, ბრიშა ჭილვარია, დადაში მაღრიანი, იროდი ნემსწვერიძე, მამუკა კუხალაშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ ვიოლეტა, თემურ ჩორგოლიანებს ძმისა და ცოლისძმის

**ვალტერ მურცხვალაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ელგუჯა, თემურ ფალავანდიშვილები, გიური ბერუჩაშვილი, დანიელ, სულიკო ყურაშვილები, ონისე, ამირან, დათო ხეცურიანები, თემურ ჩორგოლიანი, ტრისტან სილაგაძე, გოგი ასათიანი, ბრიშა ჭილვარია, დადაში მაღრიანი, იროდი ნემსწვერიძე, მამუკა კუხალაშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ ნაზიკო, გრიგოლ ბერუჩაშვილებს სიძისა და ქვისლის

**ვალოდია გასვიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ვასილ ლეთოდიანი, არშაკო ჩაკვეტაძე, მურმან ხაბულიანი, შოთა, ჯოკია სალინაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბრიშა ლეთოდიანი.**

---

კობა, სარტანგ, გურამ ფრუიძეები ოჯახებით იუწყებიან

**მარო ყურაშვილის**

გარდაცვალებას.

---

ვანო, ჯანიკო ლეთოდიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ანა გიორგის ასული ლიპარტელიანი—ლეთოდიანი.**

---

ნოდარ, სამსონ, მამუკა, რამაზ, ჭიჭიკო, ბენო, ბიჭიკო, ანზორ, ბუდიონ, კაკო გურგუჩიანები, კაპიტო ნემსწვერიძე, სერაპიონ ბურჯალიანი, მამუკა, მირზა ბახსოლიანები ოჯახებით იუწყებიან

**თინა იაკობის ასული გურგუჩიანის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

უახლოესი მეზობლები ბორის, ავთო, მამუკა, ოთარ ჩხეტიანები, მურმან გულბანი, ბრომა, გივი, ზურაბ ახვლედიანები, არსენ ყურაშვილი, ლადო ხმელიძე, კაკო ყურაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვერა ივანეს ასული ჩაკვეტაძე—ხეცურიანი.**

---

რაიონული პროკურატურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ზაალ ჩაკვეტაძეს სიძის

**ზურაბ დანელიას**

გარდაცვალების გამო.

---

რაიპოლიკლინიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნატო, ჯიგული ლეთოდიანებს ბაბუის

**ბრიშა ლეთოდიანის**

გარდაცვალების გამო.

---

არტურ ფოჩხიძე, ომარ ახვლედიანი, ბუხუტი მეშველიანი, ინძალ კეკუტია, ლონია ჯგერენაია ოჯახებით თანაუგრძნობენ ნაზიკო ხაბულიანს დედის

**ნინა ხაბულიანის**

გარდაცვალების გამო.

---

გრიგოლ სალინაძე, იდენ, ზაალ ნემსწვერიძეები, ბორის აბაშიძე, მურთაზ, ვაჟა, ბრიშა, ჯიმშერ, ვაჟა კოპალიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ გელა ლეთოდიანის ოჯახს

**ბრიშას**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის საშუალო სკოლის 1975 წლის კურსდამთავრებულები და კლასის ხელმძღვანელი მაყვალა ყურაშვილი თანაუგრძნობენ მაყვალა ლიპარტელიანს დედის

**დოდოს**

გარდაცვალების გამო.

---

რამაზ, თამაზ, ნუგზარ, დათო, კუკური, ბიჭიკო, სერგო ჩიქოვანები, გივი ახვლედიანი, ბორის გოლეთიანი, კარლო, ჯემალ ცვარიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**ალექსანდრე ბერიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ოთარ, თამაზ სალინაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დოდო სალინაძე.**

---

მეზობლები გონდო ჭაბუკიანი, ჯონი ხალიანი, ბორის მიქაძე, როინ, ზაირა სილაგაძეები, ვალერი ჯიაძე, ბრიშა ყურაშვილი, გულვერ ჭილვარია, რეზო ბურჯალიანი, იბრან მოწონელიძე, რეზო კორძაია, ზურია კვირკაშვილი, ნაძი ხაბულიანი თანაუგრძნობენ ზურაბ ხეცურიანს ბებიის

**ვერა ხეცურიანის**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეზობლები რაულ გახსოლიანი, ნონა ბენდელიანი, ვენერა კორძაია, ამირან ლიპარტელიანი, ვაჟა ჩაკვეტაძე, ჯენი მანდარია, ვალერი ლეშკაშელი, სავა ლეფტეროვა, მურად სილაგაძე, დევლეთ მუკბანიანი, იური მებრელი, სულიკო ყურაშვილი, მანანა, ფოთოლა გაკურაძეები, ცაყრინა ქარსელაძე, სარა კოპალიანი, ზურაბ ხეცურიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ გუგული ხაბულიანს დედის

**ნინას**

გარდაცვალების გამო.

---

სოფელ ქვედა ლუხვანოს ახალგაზრდები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ავთო დავითის ძე კოპალიანი.**

---

რაფიელ ნემსწვერიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ალექსანდრე ვასილის ძე ნემსწვერიძე.**

---

ცაგერის საშუალო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს ნინა ჩაკვეტაძეს დედის

**ნატას**

გარდაცვალების გამო.

---

ვასილ, რევაზ, შოთა ლეთოდიანები, ვანო სალინაძე, ზაურ ჩაკვეტაძე, მურმან ხაბულიანი იუწყებიან

**ავთანდილ კოპალიანის**

გარდაცვალებას.

---

თენგიზ სილაგაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება

**ზურიკო დანელიას**

გარდაცვალებას.

---

დადაში ჩაკვეტაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება

**ზურიკო დანელიას**

გარდაცვალებას.

---

იური სალინაძე ოჯახით იუწყება

**ალექსანდრე ვასილის ძე ნემსწვერიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ოთარ სალინაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ანა ლეთოდიანი.**

---

საგზაო სამმართველოს მუშაკები თანაუგრძნობენ მაყვალა ლიპარტელიანს დედის

**დოდო ლიპარტელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

შოთა, ტუკა, კახა ჩხეტიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ სულიკო, ძაძუ კოპალიანებს ძმისშვილის

**ავთო კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ამირან ჩახულიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჩაკვეტაძეების ოჯახს

**ზურაბ დანელიას**

გარდაცვალების გამო.

---

ბორის ჭაბუკიანი ოჯახით თანაუგრძნობს მარინე, თენგიზ სილაგაძეებს სიძის

**ზურაბ დანელიას**

გარდაცვალების გამო.

---

რაიკოოპერატივის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მანანა, ჯანიკო ლეთოდიანებს ბიცოლის

**ანას**

გარდაცვალების გამო.

---

აგრომრეწვბანკის ცაგერის განყოფილების მუშაკები თანაუგრძნობენ ნანული ლეთოდიანს ბიცოლის

**ანას**

გარდაცვალების გამო.

---

**ჩვენი გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა 5 აგვისტოს.**

---

**რედაქტორი**

**ნ. ნემსაძე.**